# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-დღეების შემდეგაც.— შაბათი, 22 აპრილი 1900 წ. № 1103

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе".

**ტელეფონი № 372.**



## პარიზის გამოფენაზე წამსვლელთა საყურადღებოდ

**პარიზში ნაცხოვრები და ფრანგული ენის მცოდნე ქართველი** ჰკისრულობს გაჰყვეს პარიზის მსოფლიო გამოფენის ნახვის მსურველს და სათანადო დახმარება გაუწიოს გამოფენისა და თვით ქალაქის ღირსშესანიშნავ დაწესებულებათა დათვალიერების საქმეში. იგივე ჰკისრულობს იქითობას ან აქეთობას დაათვალიერებინოს ევროპის სატახტო ქალაქები.—ადრესისა და სასყიდელის შესახებ პირობათა შეტყობა შეიძლება „მოამბე"-„ცნობის ფურცლის" რედაქციაში. (რ 0—8)

საუკეთესოდ მოწყობილი

## სტამბა

წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა

იღებს ყოველგვარ

## სასტამბო საქმეებს

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

## ფოტოგრაფია

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში. (5. 0—42)

ბ-ნმა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა, დ. ზუგდიდის მცხოვრებთა თხოვნის პასუხად გამოაცხადა, რომ საჭიროდ სთვლის, რათა მოსპობილ იქმნას ამიერიდან

## მარულა და თამაში,

რომელნიც აქამომდე იმართებოდენ დაბის ქუჩებში ყოველ წლის პირველ მაისს.

ზუგდიდის მაზრის უფროსი, მოაღწევინებს-რა ამას საზოგადოების ცნობამდე, აცხადებს, რომ 1 მაისს დაბა ზუგდიდში არავითარი მარიულა და თამაშობა გამართული არ იქმნებიან.

ზუგდიდის მაზრის უფროსი

(5. 1—1) **3. კეგამოვი**


## ახალი ამბავი

—

✦ „რუსსკი ინვალიდ"-ში დაბეჭდილია შემდეგი **საყურადღებო ცირკულიარი** თურქესტანის სამხედრო ოლქის უფროსისა: „იმ ცნობებიდან, რომელიც მე მომდის, სამწუხაროდ, ვხედავ, რომ თურქესტანის ოლქის ზოგიერთ ჯარებში, მიუხედავად მრავალის გაფრთხილებისა და ბრძანებისა, კიდევ აქვს ადგილი ჯარის-კაცების გალახვას როგორც ოფიცრების, ისე ფელვებელ-უნტერ-ოფიცრების მიერ. ასეთი უკანონო ქცევა, რომელიც არა მარტო ფიზიკურ ტანჯვას აყენებს ჯარის-კაცს, არამედ ამცირებს მის კაცურ ღირსებასა და შეურაცხჰყოფს მას, როგორც მეფის მსახურს, სალდათს, მაიძულებს მე ვთხოვო კორპუსების ყველა უფროსებს, მიიღონ სასტიკი ზომები ხსენებულ უკანონობის მოსასპობლად. ხოლო ვინც ივიწყებს კანონის მოთხოვნილებას და თავის-თავსაც იმცირებს ჯარის-კაცის გალახვით, მათ მოეპყარით ისე, როგორც ნაჩვენებია სამხედრო კანონთა კრებულის XXII ნაწ. 185, 186 და 187 მუხლებში".

✦ ამ ჟამად, როგორც ჩვენს მკითხველებს ეცოდინებათ, საგანგებო კომისია იხილავს და შინჯავს სამოსამართლო ნაწილის ყველა კანონებს ახალის კანონმდებლობის გამოსაცემად. „სუდებნი გაზეთის" სიტყვით, კომისიას, სხვათა შორის, განზრახვა აქვს ჩაურთოს სისხლის სამართლის კანონდებულებაში ახალი მუხლი, რომლის ძალით **მთავრობამ ზარალი უნდა უზღოს** იმ პირს, ვინც შეცდომით უდანაშაულოდ იქმნება გასამართლებული და დასჯილი.

✦ ამ დღეებში ჩვენ ვაცნობებთ მკითხველთ, რომ პეტერბურგში შესდგა სააქციონერო საზოგადოება, რომელსაც, სხვათა შორის, აზრად აქვს **სოხუმიდან ახალ-სენაკამდის** რკინის გზის გაყვანა. ამ ჟამად სატახტო ქალაქის გაზეთებში ვკითხულობთ შემდეგ დაწვრილებით ცნობებს ამ „საზოგადოების" შესახებ: მის უმთავრეს საგანს შეადგენს—„შავი ზღვის პირის რკინის გზის გაყვანა" სადგ. დინსკიდან ტუაფსემდე და სოხუმამდე, 424 ვერსის მანძილზე; შემდეგ შტო წავა ახალსენაკამდე, 125 ვერსის მანძილზე. გარდა ამისა, „საზოგადოება" თავის სააქციონერო თანხიდან 2.300.000 მან. გადასდებს სანატორიებისა და საავარაკო ადგილების მოსაწყობად.

✦ ტფილისის გუბერნატორს შეუტყობინებია ქალაქის მოურავისათვის, რომ ის ამტკიცებს, თანახმად საგუბერნიო საკრებულოს დადგენილებისა, ქალაქის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვას 1900 წლისას და ამასთანავე სთხოვს ქალაქის მოურავს, რომ მიაქცეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ ქალაქს არა აქვს საკმარისი საავადმყოფო—ქსენონები.

✦ მთავრობას განზრახვა აქვს ყველა დიდ ქალაქებში გახსნას **მხატვრობისა და ქანდაკების სასწავლებლები.**

✦ ამ დღეებში „ივერიაში" დასტამბული იყო ამბავი, რომ ი. ს. გოგებაშვილის პატივის მცემელთ განუზრახავთ სადილის გამართვა პატივცემულ პედაგოგისათვის, მის 35 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავადაო. ამ ამბის შესახებ ბ. გოგებაშვილი შემდეგ წერილს ჰბეჭდავს „ივერიის" გუშინდელს ნომერში:

„როგორც თქვენი ახალ ამბებიდან სჩანს, ზოგიერთ ქართველს მოუწადინია გამიმართონ საიუბილეო სადილი. დიდ მადლობას მოვახსენებ და კთხოვ დიდი თხოვნით ხელი აიღონ ამ თავისს წადილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სადილი უჩემოდ ჩაივლის. ჯერ ქართველმა საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს ის დიდი ვალი, რომელიც მას აწევს კისერზე შესახებ ჩვენის მთავარ-მოღვაწეებისა, რომელთაც ჩემზე უფრო დიდხანს უმოქმედნიათ და ჩემზე უზომოდ მეტი გაუკეთებიათ. ჯერ ილიასა და აკაკის ღირსეული იუბილეები გაუმართონ, და მერე გაუწიონ თავაზიანობა სხვებსაც, თუ არ დაუშლიათ.

ი. გოგებაშვილი".

✦ უმ. სენატს მოუხდენია განმარტება საყურადღებო იმ პირთათვის, ვისაც ჰსურს სტამბის დაარსება. ხშირად გუბერნატორები არ აძლევენ მსურველთ სტამბის გამართვის ნებას იმ მოსაზრებათა ძალით, რომ 1) ადმინისტრაციას არა აქვს საშუალება ზედამხედველობა იქონიოს სტამბაზე და 2) რომ ქალაქში ისედაც ბევრია სტამბებიო. ორივე ეს მოსაზრება, როგორც უკანონო, არ აძლევს ნებას გუბერნატორებს აუკრძალონ მსურველთ სტამბის გახსნა. ერთად-ერთი მოსაზრება, რომელიც გუბერნატორებს უნდა ჰქონდეთ სახეში, არის—მსურველის კეთილ-საიმედობა და ყოფა-ქცევა.

✦ ახლად დაარსებულს ტფილისის **საკომერციო სასწავლებე-**

ღშა მისაღები ეგზამენები იქნება 25 აპრილიდან 28 მდე.

✦ ამიერ-კავკასიის **ქალთა ინსტიტუტში** მისაღები ეგზამენები დაიწყება 11 მაისს, რომელ დღისთვისაც უნდა მოიყვანონ შვილები იმ მშობლებმა, რომელთაც წელს წარუდგინეს თხოვნები ინსტიტუტის მმართველობას. ვისაც ეხლა არ მოეხერხება ბავშვების მოყვანა ეგზამენების დასაჭერად, მათ შეუძლიანთ შემოდგომაზე, ენკენისთვეში, დააჭერინონ ეგზამენები. სახელმწიფო ხარჯით მიღება, როგორც ყოველთვის, კენჭის ყრით მოხდება.

✦ ოთხშაბათს, 19 აპრილს, მოხდა საზოგადო კრება ბავშვთა სამზრუნველო **ტფილისის საზოგადოების წევრთა**. „საზოგადოების“ ანგარიშიდან სჩანს, რომ 1899წ. განმავლობაში მასში ირიცხებოდა 855 წევრი, კასსაში შემოვიდა სულ 12.378 მან. და 76 კაპ., დაიხარჯა-კი 11.085 მან. 15 კ., „საზოგადოების“ ბავშვთა თავ-შესაფარში, ავლაბარზე, 1-ლ იანვრისთვის იყო 22 ბავშვი, მათგან—7 ვაჟი და 15 ქალი. თითო ბავშვის შენახვა თავშესაფარში ჯდება 10 მ. 70 კ. თვეში. 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვით, „საზოგადოებას“ წელს უნდა შემოუვიდეს 11.470 მ. 22 კაპ., დაეხარჯოს კი—9.626 მან. საზოგადო კრებამ დაამტკიცა ანგარიშიც და ხარჯთ-აღრიცხვაც.

✦ ბ. ვედენეევის მაგიერ, რომელიც პეტერბურგს წავიდა, ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსის თანამდებობის აღსრულება მიენდო ინჟენერს **ი. ს. შაიკევიჩს**.

✦ გუშინ წინ „ცნ. ფურც“.-ში დაბეჭდილი იყო ცნობა იმის შესახებ, რომ **მთაწმინდაზე** ბ-ნი გაბაშვილი ჰყიდის თავის მამულს ერთ მდიდარ ვაჭარზე. ეხლა გვატყობინებენ, რომ ბ-ნი გაბაშვილი, მართალია, აპირებს თავის მამულის გაყიდვასაო, მაგრამ ერთ ვაჭარზე კი არა, არამედ ნაწილ-ნაწილ ჰყოფს მამულს და ჰსურს ისე მიჰყიდოს მსურველთაო.

✦ შეერთებულმა კრებამ ტფილისის გამგეობისა და ნიხრის დამდგენელ კომისსიისამ განიხილა რა შედეგი საკლავ საქონლის ყიდვისა და მისი ფასები—დაადგინა, მეორედ იქმნას ნაყიდი და დაიკლას საქონელი. კრებაზე გამოირკვა, რომ საქონელს ფასი მოემატა, რომ უფრო ნაკლებად მიდის და ნაკლებადაც ჰხოცავენ. ამავე კრებაზე დადგენილ იქმნა თანახმად სამეურნეო სავაჭრო-პოლიციის ზედამხედველის წინადადებისა გადაიდოს 600 მან. ბაკში სასწორის გასამართავად, რომელიც საჭიროა გაყიდულის საქონლის ასაწონად, რათა ყოველთვის ადვილი გასაგები იყოს ფასი ხორცისა საქონლის დაუკვლელად.

✦ გარდაცვალებულმა ექიმმა ალ. ვახრამოვმა დასტოვა 4300 მან. აღსაზრდელად ღარიბ სომეხთა იმ ყმაწვილებისათვის, რომელნიც სწავლობენ საქალაქო სკოლებში. თანახმად ამისა საქალაქო სკოლებში ღარიბ შაგირდებთა დამხმარებელმა კომიტეტმა დაადგინა, რომ ამ ფულის სარგებელი წელიწადში 163 მ. 40 კ. გადადებულ იქმნას 4 სტიპენდიისათვის.

✦ საქმე ინჟენერ-ტეხნოლოგის ბ-ნ **დგალიშვილისა**, რომელსაც ჰბრალდება, რომ, როდესაც ის განაგებდა ქალაქის წყლის მილს, უყურადღებობისა გამო სასიკვდილოდ დაიჭრა ქალაქის სახელოსნოს ოსტატი ფრ. ნერინგი, გადაეცა ქალაქის მეორე განყოფილების გამომძიებელს გამოძიების მოსახდენად.

✦ **სოხუმის ოლქში**, ოფიციალურის ცნობებით, 1899 წელს საშუალო მოსავალი ყოფილა სიმინდისა; ყურძნისა—ზოგან საშუალოზე დაბალი, ზოგან—საშუალო; ხილიდან ვაშლის მოსავალი ცუდი ყოფილა, დანარჩენისა—საშუალო; თამბაქოს მოსავალი—კარგი. ენკენისთვეში სიმინდი ფასობდა ფუთი 50 კაპ., წლის ბოლოს კი—40 კაპეიკამდე დაიწია.

✦ გაზ. „ტფ. ფურცელს“ შემდეგ **შემაძრწუნებელს ამბავს** სწერენ სოფ. მეჯვრისხევიდან (გორის მაზ.): „აღდგომის მეორე დღეს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, ეკკლესიიდან ბრუნდებოდა სახლში ექვსი შეზარხოშებული კაცი, რომელთაც სოფელში ცუდი სახელი აქვთ გავარდნილი. გზაზე, თვით სოფელში, ისინი დაეწივნენ ერთ დედაკაცს, გლეხის ქალს ე—ს, თითქმის 50 წლის მოხუცებულს. ძმა-ბიჭებმა სტაცეს საწყალს ხელი, გადისროლეს მახლობელ ბაღში და იქ გააუპატიურეს იგი. ეს ავაზაკობა მით უფრო შემაძრწუნებელია, რომ საცოდავი ქალი თურმე გამზრდელია ორის თავდამსხმელისა, რაც გამოძიებამაც დაამტკიცა. სამწუხაროა აგრეთვე, რომ ამ ამბის მოწამე ბევრი სოფლელი იყო, მაგრამ არავინ მიეშველა გაუპატიურებულს ქალს“.

✦ **20 აპრილს, ტფილისის პოლიციაში** გამოცხადებულა ვინმე ალექსანდრე ბასკაკოვი და უთქვამს, რომ ამ ორის თვის წინად, სადგურ ალსტაფაზე მან მოჰკლა ხსენებულ სადგურის დეპოს უფროსი, რის შემდეგაც გაიქცა; რადგანაც პოლიციას სრულიად უდანაშაულო პირი შეუპყრია და ციხეში ჩაუსვამს, ამიტომ ბასკაკოვი სინიდისს შეუწუხებია და გამოტეხილა. ბასკაკოვი დატუსაღებულ იქმნა.

---

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**20 აპრილი**

**მოსკოვი.** დღეს, დილის მეთერთმეტე საათზე, ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე ბრძანდებოდნენ სამხედრო საავადმყოფოში, სადაც მათ მიეგებნენ: მორიგი ოფიცერი, საავადმყოფოს უფროსი გენერალ-მაიორი ადამოვიჩი, ექიმები და ზედამხედველი. მისი უდიდებულესობა შებრძანდა საქირურგო განყოფილებაში, სადაც უმოწყალესად ესაუბრა ავადმყოფთ; განსაკუთრებული ყურადღება მისმა უდიდებულესობამ მიაქცია მძიმე ავადმყოფთ ყაზახს ბარიშევს და მოხუცებულს კოვალიოვს. ოფიცერთა განყოფილებაში, პერმის ეპარქიის ავადმყოფმა მღვდელმა, პეტრე არაფიევმა მიართვა მის უდიდებულესობას წმ. სტეფანე პერმელის ხატი. ამავე განყოფილებაში ხელმწიფემ და დიდმა მთავარმა ჩასწერეს თავისი სახელები საავადმყოფოს დამთვალიერებელთა წიგნში. ხელმწიფემ გამოიკითხა დაწვრილებითი ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ დაათვალიერა ესევე საავადმყოფო იმპერატორმა ალექსანდრე მე-III. შემდეგ იმპერატორმა დაათვალიერა საავადმყოფოს სხვა განყოფილებანიც. გამოსთქვა-რა თვისი კმაყოფილება საავადმყოფოს კარგ მდგომარეობისა გამო, იმპერატორი შებრძანდა საავადმყოფოს ეკკლესიაში, სადაც მას მიეგება ჯვრით დეკანოზი. შემდეგ ხელმწიფემ დაათვალიერა სამზარეულო და გასინჯა საჭმელები. ხელმწიფემ მადლობა გამოუცხადა საავადმყოფოს უფროსს და შემდეგ, დიდის მთავრითურთ წაბრძანდა კრემლის სასახლეში.

დღეს, ხელმწიფა იმპერატრიცამ და დიდმა მთავრინამ ელისაბედ თეოდორეს ასულმა დაათვალიერეს ობლების საქალაქო თავშესაფარი კრასნოსელსკის ქუჩაზე. იქ მათ მიეგებნენ ქალაქის მოურავი, თავშესაფარის ზედამხედველი და ექიმი. ხელმწიფა იმპერატრიცამ დაათვალიერა თავ-შესაფარის სადგომი. ერთმა ობოლმა პატარა ქალმა მიართვა მის უდიდესულესობას ნაქარგი პირსახოცი და მოახსენა: „დედავ, მეფევ, გვიყავ მოწყალება, მიიღე ეს ჩვენი მცირე ხელ-საქნარი“. იმპერატრიცამ მადლობა მოახსენა ბავშვს. მეორე ობოლმა ყვავილებით სავსე კალათი მიართვა დიდ მთავრინას. ხელმწიფე იმპერატრიცამ გასინჯა ბავშვებისათვის მომზადებული საჭმელები. შემდეგ თვისი კმაყოფილება გამოაცხადა თავშესაფარის კარგ მდგომარეობის გამო და 1-ლ საათზე წაბრძანდა დიდი მთავარინათურთ კრემლის სასახლეში.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ის კორრესპონდენტი იტყობინება 17 აპრილს, რომ ბურების სარდალი ოლივიე, მის მაგიერ, რომ ჩრდილოეთისაკენ დაწეულიყო, სმიტფილდისაკენ წავიდა. ბურების მეორე რაზმი მდ. ლეუვზე სდგას.

**ბრიუსელი.** პრინცი ალბერტი პარასკევს ბერლინს მიდის.

**ლონდონი.** „დეილი ნიუს“-ს ატყობინებენ ლორენცო-მარკეზიდან: „ბურების მთავრობა, როგორც სჩანს, მოწადინებულია რაც შეიძლება დიდხანს ეწინააღმდეგოს ინგლისს. ლინდენბურგის ოლქში ახალს სიმაგრეებს აკეთებენ. მთიან ადგილებისა გამო დღემდის ვერ შეუერთეს ეს ოლქი რკინის გზით მთავარს ლიანდაგს ჰოლანდიელთა რკინის გზისას. ბოლოს დროს ბურები მეტად მეცადინეობენ რკინის გზის გაკეთებისთვის“.

„დეილი ნიუს“-ს ატყობინებენ ლორენცო-მარკეზიდან, რომ იქ მივიდა საფრანგეთის გემი, რომელზედაც 12 ბურია. ესენი გამოქცეულან სიმონსტაუნის ახლო მდებარე ბანაკიდან და მიემგზავრებიან პრეტორიაში.

**კონსტანტინეპოლი.** გუშინ ელჩებმა გადასწყვიტეს უპასუხონ ოსმალეთის მთავრობას, რომ მხედველობაში იღებენ ოსმალეთის განცხადებას იმის შესახებ, რომ ოსმალეთი სახელმწიფოთა დაუკითხავად არ მოუმატებს ბაჟს.

იზმაილ-ბეის გაქცევამდე ქალაქის პრეფექტი რედვანფაშა ურჩევდა მას დარჩენას, მაგრამ ამაოდ. სულთანი, ალბათ, გაანთავისუფლებს იზმაილ-ბეის ტრიპოლის ვალის თანამდებობიდან და ნებას მისცემს მას საზღვარ-გარედ წასვლისას.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ს ატყობინებენ ბლუმფონტენიდან, რომ ამ ჟამად ინგლისელნი ცხენებსართმევენ ორანჟეს ბურებს, რომელნიც ინგლისის მორჩილებას აცხადებენ. ეს ზომა უკეთესად იქმნა ცნობილი, ვიდრე იარაღის წართმევა.

„მორნინგ პოსტ"-ს ატყობინებენ იქედანვე: „ინგლისელთ ჩაუვარდათ ხელში ორი საინტერესო ბარათი: ერთი შტეინის ბარათია ბოტთან; მასში ორანჟეს რესპუბლიკის პრეზიდენტი მწუხარებას აცხადებს იმის გამო, რომ კრონშტადტის დასაცველად ცოტა ჯარია დატოვებული და ამბობს, რომ ბრიტანელნთ 5000 კაცი ჰყავთ წინ წასასვლელად. შემდეგ შტეინი ეჭვს აცხადებს, ვაი თუ ბურების რაზმმა, რომელიც მოვალეა კონშტადტი დაიცვას' გაბარცვოს ახლო მდებარე პურის ყანები და ამით უთანხმოება ჩამოაგდოს ტრანსვაალისა დი ორანჟეს ბურების შორის. შტეინი აცხადებს სურვილს, რომ ნაწილი 10,000 ბურებისა, რომელნიც ნატალში სდგანან, გაგზავნილ იქმნას კრონშტადტისაკენ, რათა ბრძოლა გაემართოს ინგლისელებსათ. ბოლოს შტეინი ამბობს, რომ პასუხს აღარ აგებს ორანჟეს ბურების ერთგულებისა გამო, თუ ტრანსვაალის მთავრობა არ მიიღებს ზომებს კრონშტადტის დასაცველად. მეორე ბარათი ეკუთვნის კრიუგერს. მასში პრეზიდენტი სწერს ერთ სარდალს, რომ მეტის ჯარების შეკრება აღარ შეიძლება. წერილის დასასრულ კრიუგერი ამბობს, რომ ევროპა უთუოდ ჩაერევა ომშიო".

**პეტერბურგი**. დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე 20 აპრილს წავიდა ბერლინს, რათა დაესწროს დღესასწაულს, რომელიც გადახდილი იქნება იქ გერმანიის ტახტის მემკვიდრის სრული წლოვანობის შესრულების გამო.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | —10 | კ. |
| სუკი | 1 » | —15 | კ. |
| » ცხვრისა | » » | —11 | კ. |
| » კამეჩისა. | » » | — 5 | კ. |
| » ღორისა. | » » | — 8 | კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი | 1 » | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 გ. | 5 | კ. |
| » » | II » | » » | $3^1/_2$ | » |
| » » | III » | » » | 3 | » |
| იგივე თონისა | I » | » » | 5 | » |
| » » | II » | » » | 4 | » |
| » » | III » | » » | $3^1/_2$ | » |
| დაგაში ჯგ. მხ. | I » | » » | 6 | » |
| » » | II » | » » | 4 | » |

---

**ტფილისის ბაზრები:**

გაიყიდა მეიდნებზე: კოგზალზე,

| | ფუთი | მ. | კ. | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . | 1 | — | 88 | — | 85 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ბზე . . . . . | 1 | — | 28 | — | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საყ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 8 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი 8ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი—მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

---

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » | |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » | |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » | |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » | |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.

„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

---

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რვე 230 კაპ. ღარიბთათვის რჩევა, ჩაა და წამლობაც უფასოა. სამკურნლოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, გორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. გამგეობას უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება გოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და გრუზოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

ტფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი— ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) გორონცოვის ქუჩა, მექქსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.**

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ. ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. სად.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდი საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი № 4** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. სად.

**მატარებელი № 6** ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე—დღეს 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მიდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, რე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე ს 94—ღამ9 წ. სად.

**ფოთიდან** მსატრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—სად. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ. დღისით 12 30 წ., 3 ს. 50 წ., და 5 ს. 30 წ.,

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ., მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი— დილის 9 ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 სე 40 წ. დღისა, მეორე—საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის—პირველი დღისით 4 ს. 31 წ. მეორეღამის— 2 ს. 05 წ.

**მიხაილოვიდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ., მეორე დილის 6 ს. 25 წ., მესამე,—დღის 1 ს. 5 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**სურამიდგან** მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5 ს. 08 წ., მეორე დილის 11 ს. 48 წ., მესამე დღის 4 ს. 40 წ., მეოთხე—საღამოს 10 ს. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**ქუთაისიდგან** ტყიბულში გადის ღამის 6 ს. 50 წ. ტყიბულაში ჩადის 10 ს. დილისა.

**ტყიბულიდგან** ქუთაისში გადის დღისით 1 ს. 30 წ., ქუთაისში მიდის 6 ს. 30 წ. დღისით.

**ომნიბუსების** მიმოსვლა ტფილისისა და ვლადიკავკასის შორის დაწყებული 1 ნოემბერს 1899 წ. ვიდრე 1 მაისამდის 1900 წ.

**თბილისიდან** ხუთსაჯდომიანი კარეტა გადის დილის 8 საათზე (მღეთში ღამის თევით) და ვლადკავკასში ჩადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ექვს-საჯდომიანი ომნიბუსი გადის ნაშუადღევის 3 საათზე და ვლადიკავკასში ჩადის მეორე დღისაღამოს 5 ს. 35 წ.

**ვლადიკავკასიდგან**: ხუთ საჯდომიანი კარეტა გამოდის დილის 8 საათზე (ღამის თევით მლეთში) და ჩამოდის ტფილისში მეორე დღეს საღამოს 6 ს. 40 წ., ექვს-საჯდომიანი ომნიბუსი გამოდის საღამოს 8 საათზე და ტფილისში ჩამოდის მეორე დღეს საღამოს 9 ს. 30 წ.

# განცხადებანი

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

(ნ. 0—30)

წარსული წლების ჟურნალი „მოამბე" გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად და 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად. ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის" ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе".

## ისტორიული ნარკვევი
ანუ
### ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენილი
ალექსანდრე ჭყონიასაგან

მოწონებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის

ფასი 1 მ. 50 კაპ.

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

(ნ 3—3)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზედ 22 აპრილს 1900 წ., მოხდება საჯარო ვაჭრობა უწმინდურებათა მილის გაყვანისა ლაბარატორის ქუჩაზედ არსებულ მილიდან ქიქოძის სახლის კარამდე მთაწმინდის ქუჩაზედ, სიგრძით 70 საჟენი, სიგანე 0,42+0,28, ღირებული 2060 მ. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიანთ გასინჯონ პირობები გამგეობის მესამე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, 9 საათიდან 3 საათამდე.

(ნ 3—3)

დაიბეჭდა და ისყიდება
წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში
ახალი ქართული წიგნი

## სიტყვიერების თეორია

სალიტერატურო ნიმუშების კრებული ანუ ქრისტომატია

წიგნი შედგენილია
ალავერდის ეპისკოპოზის კირიონისა და გრ. ყიფშიძის-მიერ

ფასი 1 მანეთი

ვინც ათს ცალზე ნაკლებს არ იყიდის, წიგნი დაეთმობა 80 კ.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფას-დადებით შეუძლიანთ დაიბარონ ამ ადრესით: Тифлисъ. Книжный магазинъ Общества грамотности.

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დაეკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— „ |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | „—50 |
| ფაბულები და აღზრდა კრებული ბატონიშვილისა ლევანდა-შვილის ბაზნისა | „—10 |
| ზნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (მიკელანიძე) | „—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | |
| I ტომი | „—70 |
| იგივე II ტომი | „—60 |
| იგივე III ტომი | „—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | „—80 |
| სოფლის" კუნჭულში დ. მახსნელისა | „—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | „—60 |
| იგივე II ტომი | „—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | „—60 |
| სიბრძნე-სიცრუისა საბა-ორბელიანისა | „—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო ბოტისა | „—20 |
| აივენგო ვალტერ სკოტისა | „—50 |
| ალი-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | „—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით | „—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძნე ბალავარისა | „—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | „—80 |
| დასტურ-ლამა | „—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინდავე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | |
|---|---|
| ნაწილი I საერო კრება | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი | 1 მ. 20 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრჭყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 „ |
| იგდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 „ |

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება

გამომც. გ. გუნია.